დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ოქტომბრის N 63/19 ოქმით

აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა

პრეამბულა

შპს - საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) აღიარებს აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს ხუთი ფუნდამენტური ღირებულების – პატიოსნება, ნდობა, სამართლიანობა, პატივისცემა და პასუხისმგებლობა - ერთიანობას.

უნივერსიტეტი, როგორც საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუცია, აცნობიერებს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების მნიშვნელობას არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ქვეყნისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ზემოხსენებულ ღირებულებებზე დაფუძნებულ საქმიანობას სწავლის, სწავლების, პრაქტიკისა და კვლევის სფეროში.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია უნივერსიტეტის სივრცეში სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას ხელმძღვანელობდეს შესაბამისი პროგრამის მიერ დადგენილი აკადემიური სტილის შესაბამისად. საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა უნივერსიტეტის სახელით სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისას დაშვებულია აკადემიური წერის სხვა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 1 - აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მიზანი:

1. წინამდებარე პოლიტიკის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში უზრუნველყოს:

1.1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმების განსაზღვრა;

1.2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების პროპორციული და თანმიმდევრული დისციპლინური სანქციებს განსაზღვრა;

1.3. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმების გამოვლენის, რეაგირებისა და პრევენციის შესაბამისი გამჭვირვალე, თანმიმდევრული, მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის არსებობა;

1.4. აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდამჭერ გადაწყვეტილებებსა და პროცესებზე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულებების განსაზღვრა;

მუხლი 2- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მოქმედების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართულ ყველა პირზე.

მუხლი 3 - აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმები

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებია:

1.1. აკადემიური თაღლითობა/თვალთმაქცობა (Cheating), გულისხმობს:

ა) საკუთარი ან სხვა პირის მიერ შესრულებული იმ ნაშრომის განმეორებით გამოყენება/წარდგენას, რომელიც მანამდე უკვე იქნა შეფასებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით.

ბ) ერთი პირის მიერ სხვა პირისთვის და/ან პირთა ჯგუფისთვის ნამუშევრის შესრულების დაკვეთა გარკვეული ფინანსური ან სხვა დაინტერესების სანაცვლოდ.

გ) ჯგუფური მუშაობის შედეგად მიღებული მონაცემების და/ან შემუშავებული ნაშრომის/პროექტის თანხმობის გარეშე გამოყენება ინდივიდუალური მიზნებისათვის;

დ) სხვისი აკადემიური ნამუშევრის შექმნის პროცესში და/ან უკვე დასრულებულ ნაშრომში მიზანმიმართული ჩარევა მოსალოდნელი შედეგებისა და/ან შეფასების დაკნინების გზით საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით;

ე) ტექსტის, აუდიო-ვიზუალური და ფოტო მასალის გამოყენება და/ან გავრცელება საავტორო უფლებების გარეშე;

ვ) პირადი მონაცემების გაყალბების გზით გამოცდაზე სხვა პირის ნაცვლად წარდგენა;

ზ) შუალედური და/ან დასკვნითი გამოცდის პროცესში სხვისი დახმარებით სარგებლობა;

1.2. ფაბრიკაცია, გულისხმობს:

ა) ციტატის, ინფორმაციისა და ამა თუ იმ მონაცემის შეთხზვა/გამოგონება;

ბ) ეთიკური ნორმების, დარგობრივი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის გვერდის ავლით მონაცემების მოპოვება და/ან შეგროვება.

1.3. სიყალბე, გულისხმობს:

ა) მონაცემებში და წყაროებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიზანმიმართული გაყალბება და დამახინჯებული სახით წარმოდგენა;

ბ) მონაცემების მიზანმიმართულად არასწორი დამუშავება სასურველი დასკვნების მისაღებად.

1.4. პლაგიატი: გულისხმობს:

ა) საკუთარ ინტელექტუალურ შემოქმედებად წარმოჩენის მიზნით სხვისი გამოქვეყნებული და/ან გამოუქვეყნებელი შრომის, კვლევის, გამოგონების, მონაცემის, აუდიო და ვიზუალური მასალის და/ან იდეის სრული ან ნაწილობრივი გამოყენება შესაბამისი წყაროს სრულფასოვნად მითითების გარეშე;

ბ) საკუთარი გამოქვეყნებული და/ან გამოუქვეყნებელი შრომის, კვლევის, გამოგონების, მონაცემის, აუდიო და ვიზუალური მასალის და/ან იდეის განმეორებით სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება შესაბამისი წყაროს სრულფასოვნად მითითების გარეშე;

1.5. პლაგიატის ფორმებს მიეკუთვნება:

ა) ზუსტი (სიტყვასიტყვითი) ციტირება წყაროს მკაფიო მითითების გარეშე

ბ) ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის ამოჭრა და გამოყენება წყაროს მკაფიო მითითების გარეშე

გ) პერიფრაზი

დ) არაზუსტი ციტირება

ე) დახმარების არ მითითება

ვ) სხვა პირების მიერ დაწერილი მასალის გამოყენება

ზ) ავტო-პლაგიატი

თ) უნებლიე პლაგიატი

1.6. კონფიდენციალურობის დარღვევა, გულისხმობს:

ა) სხვისი პირადი მონაცემებისა და/ან სამუშაო ინფორმაციის გამოყენება შესაბამისი თანხმობის გარეშე;

ბ) სხვათა პირად დოკუმენტებში და/ან დაფინანსებულ კვლევით პროექტებში დაცული ინფორმაციის/მონაცემების მითვისება/უნებართვოდ გამოყენება.

1.7. ინტერესთა კონფლიქტი, გულისხმობს:

ა) სწავლის, სწავლების, პრაქტიკისა და კვლევითი საქმიანობის დროს, ვალდებულებების შესრულების პროცესში სხვათა მოტივირებული ჩარევა და/ან მონაწილეობა პირადი ინტერესების (პროფესიული, პირადი, ოჯახური, ფინანსური და სხვა) უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 4 - აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენცია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული ყველა პირის ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს შესაბამისი რეგულაციების მათთვის გაცნობასა და ხელმისაწვდომობას.

ბ) უნივერსიტეტის ადამინური რესურსების მართვის სამსახური ვალდებულია აკადემიურ/მოწვეულ/სამეცნიერო პერსონალს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გააცნოს აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციები.

გ) უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულნი არიან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციის მიზნით, აკადემიური წლის დასაწყისში განუმარტონ სტუდენტებს აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობა, მისი აღმოჩენის მექანიზმები და მათზე რეაგირების პროცედურები.

2. უნივერსიტეტი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გარკვეული ფორმების პრევენციის მიზნით იყენებს Turnitin-ის პროგრამას. Turnitin-ის გამოყენების წესი განსაზღვრულია დანართი N 1-ით.

მუხლი 5 - დისციპლინური სანქციები და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების პროპორციული, თანმიმდევრული და სამართლიანი მექანიზმისა და დისციპლინური სანქციების უზრუნველყოფის მიზნით წინამდებარე პოლიტიკა განასხვავებს სუბიექტებს: ა) სტუდენტი; ბ) აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი.

1.1. სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში გამოვლენილ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სანქცია:

1.1.1. სტუდენტს მიეცემა შენიშვნა;

1.1.2. სტუდენტს საშუალება მიეცემა ნაშრომი გადაამუშავოს და წარადგინოს ხელმეორედ;

1.1.3. სტუდენტის ნაშრომი შეფასდება 0 ქულით;

1.1.4. სტუდენტს დროებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;

1.1.5. სტუდენტს შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი;

1.2. სტუდენტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სასწავლო დისციპლინის/კომპონენტის ლექტორი/ხელმძღვანელი და/ან საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულნი არიან გამართონ ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტთან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის მოტივის შესწავლის მიზნით და შეიმუშავონ შესაბამისი დასკვნა.

1.3. სასწავლო დისციპლინის/კომპონენტის ლექტორის/ხელმძღვანელისა და/ან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე დისციპლინური სანქციების განსაზღვრის უფლებამოსილება აქვს სკოლის საბჭოს.

1.4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის საკითხის განხილვისას სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს სკოლის საბჭოს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.

1.5. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის რომელიმე ფორმ(ებ)ის დადასტურების შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სანქციები:

1.5.1.შენიშვნა;

1.5.2.საყვედური;

1.5.3.სამეცნიერო ნაშრომის უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებაზე უარის თქმა;

1.5.4.აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმა;

1.5.5.აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა;

1.5.6.აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმა;

1.5.7.აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;

1.5.8. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;

1.6. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაზე შესაბამისი სკოლის სახელზე განაცხადი შეიძლება გაკეთდეს უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო გარემოში წარმოჩენილი საეჭვო ფაქტორების გათვალისწინებით; განაცხადი უნდა მოიცავდეს განმარტებას აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმ(ებ)ის შესახებ და თან უნდა ახლდეს შესაბამისი მტკიცებულებები.

1.7. განაცხადის საფუძველზე შესაბამისი სკოლის ფარგლებში იქმნება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემსწავლელი კომისია, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებითა და საუნივერსიტეტო რეგულაციებით.

1.8. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემსწავლელი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით. კომისიის სხდომაზე აირჩევა თავჯდომარე. კომისიაში მუშაობის ჩართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ინტერესთა კონფლიქტი.

1.9. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემსწავლელი კომისია უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის განაცხადსა და თანმხლებ დოკუმენტაციას; საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას. კომისია ვალდებულია დაიცვას როგორც განმცხადებლის, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევი პირის კონფიდენციალობა.

1.10. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.

პირველივე სხდომაზე საბჭო შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც არ არის დოქტორანტის ხელმძღვანელი.

მუხლი 6 - დისციპლინური სანქციის შეფარდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. სტუდენტის ან/და აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მიმართ დისციპლინური სანქციის შეფარდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს.

2. გასაჩივრების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს მიერ იქმნება გასაჩივრების კომისია, რომლის შემადგნელობა განისაზღვრება 3 წევრით. კომისიის სხდომაზე აირჩევა თავჯდომარე. კომისიაში მუშაობის ჩართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ინტერესთა კონფლიქტი.

3. გასაჩივრების კომისიის მიერ საკითხის განხილვისას სტუდენტი ან/და აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.